



ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9  
თვის შესრულების შესახებ

სამტრედია

2022 წელი

## 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 24,869.8 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსულობების სახით 2022 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 22,329.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (31,952.7 ათასი ლარი) 69,9 %-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 12,398.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (16,835.0 ათასი ლარი) 73,6%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 7,362.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (12,472.2 ათასი ლარი) 59,0%-ია, აქედან: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 436.4 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით - 6,576.0 ათასი ლარი, კაპიტალური დანიშნულების გრანტი (საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგირთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე) - 350.0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 2,069.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2,171.5 ათასი ლარი) 95,3%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 468.2 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 169.2 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 981.4 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 304.4 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 146.1 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულია 499.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (474.0 ათასი ლარი) 105,4%-ია.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4,047.4 ათასი ლარი, საიდანაც 1,424.5 ათასი ლარი არის წინაწლებში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შესრულებული სამუშაოების გარანტიისათვის დაკავებული, ასევე, დაუსრულებელი პროექტებისათვის გამოყოფილი თანხა. ხოლო 2,596.0 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით დარჩენილი თანხა.

2022 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 20,335.3 ათასი ლარი (წლიური გეგმის 35,869.8 ათასი ლარის 56.7%-ი). მათ შორის:

**1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი - 2,781.9 ათასი ლარი;**

1.1 თავდაცვა საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 105.6 ათასი ლარი;

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია სულ გახარჯულია 8,149.9 ათასი ლარი:**

2.1 გზების, ხიდების, ბოგიერების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებებისათვის - 4,981.0ათასი ლარი;

**2.2 კომუნალური მეურნეობის განვითარება - 1,027.0 ათასი ლარი;**

2.2.2 ბინათმშენებლობა - 547.7ათასი ლარი;

2.2.3 წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 50.2ათასი ლარი;

2.2.4 გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 429.1ათასი ლარი;

**2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 1,689.1ათასი ლარი:**

2.3.1 საკადასტრო რუკები და ექსპერტიზის ხარჯი -3.5 ათასი ლარი;

2.3.2 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 1,554.5 ათასი ლარი;

2.3.3 ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 131.1 ათასი ლარი;

**2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 451.9ათასი ლარი;**

**2.5 სოფლის მეურნეობის განვითარება - 0.9ათასი ლარი;**

**3. დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1,534.5ათასი ლარი;**

3.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 1,162.3ათასი ლარი.

3.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 332.6ათასი ლარი.

3.3 დასუფთავება - 39.6 ათასი ლარი.

**4. განათლების დარგით გახარჯულია სულ - 3,216.6ათასი ლარი:**

4.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სუბსიდირებაზე - 2,031.4ათასი ლარი;

4.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 354.6ათასი ლარი.

4.3 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი -169.7 ათასი ლარი.

4.4 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 660.9 ათასი ლარი.

**5. კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტულ ღონისძიებები - 3,068.2ათასი ლარი;**

**6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,584.2ათასი ლარი, მათ შორის:**

6.1 ჯანდაცვის პროგრამები - 91.4ათასი ლარი;

6.2 სოციალური პროგრამები - 1,492.8ათასი ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)						
დასახელება	2020 წელი		2021 წელი		2022 წელი	
	ფაქტი	%	ფაქტი	%	ფაქტი (9 თვე)	%

საერთოდანიშნულებისსახელმწიფომომსახურება	3,076.9	14,2	3,100.9	14,2	2676.3	13.2
თავდაცვა	104.0	0,5	117.9	0,5	105.6	0.5
საზოგადოებრივიწესრიგიდაუსაფრთხოება	0	0	0	0	0.0	0.0
ეკონომიკურისაქმიანობა	8,255.6	38,2	7,175.7	38,2	5437.3	26.8
გარემოსდაცვა	1,323.8	6,1	1,547.0	6,1	1534.5	7.5
საბინაო-კომუნალურიმეურნეობა	1,205.5	5,6	2,241.5	5,6	2712.6	13.3
ჯანმრთელობისდაცვა	126.2	0,6	127.1	0,6	91.4	0.4
დასვენება, კულტურადარელიგია	2,871.6	13,3	3,247.9	13,3	3068.2	15.1
განათლება	3,180.7	14,7	3,093.2	14,7	3216.6	15.8
სოციალურიდაცვა	1,480.5	6,8	1,645.0	6,8	1492.8	7.4
<b>სულ ხარჯები</b>	<b>21,624.8</b>	<b>100.0</b>	<b>22,296.2</b>	<b>100.0</b>	<b>20335.3</b>	<b>100</b>